RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# ონლაინრევოლუციები: ფუნდამენტალიზმის ექსტრემიზმში გადაზრდის პრევენცია

ტიმო ჰელენბერგი

126

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# ექსპერტის აზრი

ტიმო ჰელენბერგ

## ონლაინრევოლუციები: ფუნდამენტალიზმის ექსტრემიზმში გადაზრდის პრევენცია

126

2019

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-2011-3

**როდესაც მშვიდობიანი დემონსტრაცია ორივე მხარეს გადაიზრდება განსაკუთრებულ ძალადობაში**

2011-2014 წლებში ვცხოვრობდი რა კიევში და, როგორც უცხოელი, თვალ-ყურს ვადევნებდი მაიდანის რევოლუციას, მე, როგორც საერთაშორისო კრიზისის მართვის საქმეში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანს, დღემდე მაწუხებს რამდენიმე კითხვა.

როდესაც ქვეყანაში კონფლიქტი, სამოქალაქო დაპირისპირება, საგანგებო სიტუაცია ან სხვა ტიპის განსაკუთრებული ვითარებაა, რაც უშუალო გავლენას ახდენს მის მოქალაქეებზე, საჭიროა არსებობდეს კრიზისის მართვის გამართული მექანიზმი, სისტემური, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩათვლით, რომელიც ჩატარდება ამა თუ იმ ვითარების წარმოშობისა და განვითარების შესასწავლად. 2014 წლის დასაწყისში კიევში, მაიდანის ყველაზე მძლავრი გამოსვლების დროს, ამგვარი რამ არ მომხდარა, თუმცა აშკარაა, რომ ამის საჭიროება მაშინაც იყო და ახლაც არის. ნახევარი ათწლეულის გასვლის შემდეგ, 2020 წლის თებერვალში, მაიდანის მეშვიდე წლისთავმა ყველას უნდა შეახსენოს, რომ ქვეყანამ, რომელიც ევროპულ სტანდარტებს ეფუძნება, აუცილებლად, სათანადოდ და მყისიერად უნდა გამოიძიოს საკუთარი მოქალაქეების (როგორც სამოქალაქო პირების, ისე სამართალდამცავების) დაშავების, სიცოცხლის ხელყოფისა და გატაცების შემთხვევები. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როდესაც ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა ზელინსკიმ, აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ინტენსიური ომის ფონზე, რუსეთის ფედერაციას ახალი სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა.

**სამომავლო გაკვეთილები**

ხანდახან ადამიანების კარგად გამოსდით იმით ცხოვრება, რაზეც წერენ. ბოლო ოცი წლის მანძილზე სხვადასხვა კრიზისისა და მათი მართვის შესახებ წერით ვცხოვრობ. აკადემიური გადმოსახედიდან, უნიკალური ტიპის ძალადობრივი დაპირისპირება 2013 წლის 21 ნოემბრიდან დაიწყო, როდესაც პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა მიმართულება მკვეთრად შეცვალა და საპირისპირო რიტორიკის მიუხედავად, გადაწყვიტა ხელი არ მოეწერა ევროკავშირისა და უკრაინის ასოცირების შეთანხმებისათვის. დემონსტრაციები სამ თვეს გაგრძელდა და შეტაკებები 2014 წლის 21 თებერვალს კიევიდან პრეზიდენტ იანუკოვიჩის გაქცევით დასრულდა. ამ ყველაფერს

წინ უძღოდა მძიმე ძალადობრივი პერიოდი, რომლის გამოძიებაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მიუხედავად მასშტაბური უცხოური კვლევებისა და რესურსების არსებობისა, ფაქტია, რომ არც ერთი ეს გამოძიება არ დასრულებულა. შესაბამისად, ამ ყოველივესთან დაკავშირებით ისმის კითხვები, მაგალითად, რატომ ასუფთავებდნენ მარიინსკის პარკში არსებულ პოლიციის განყოფილებებს ყოველ-დღე, ყოველგვარი ანალიზისა და მტკიცებულებების შეგროვების გარეშე? თუ დანაკარგზე ვილაპარაკებთ, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით 300-მა ადამიანმა დაკარგა სიცოცხლე, რაც, საბაზისო მათემატიკით, დღეში საშუალოდ 3 ადამიანი გამოდის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოვლენები მაიდანის მცირე ტერი-ტორიით შემოიფარგლებოდა, ე.ი. დამოუკიდებლობის მოედანი, მიმდებარე ქუჩები და მარიინსკის პარკი, რომელიც პარლამენტის მომიჯნავედ მდებარეობს. ადამიანთა მსხვერპლის რიცხვი იზრდება კიევის ცენტრის დასავლეთით მდებარე ამ რამდენიმე აკრიდან სხვა მიმართულებებით. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული მი-ლიციისა და სნაიპერების მიერ შეუიარაღებელი და უმეტესწილად მშვიდობიანი დემონსტრანტებისათვის სროლას არავინ ამართლებს. მეორე მხრივ, ერთი თვის განმავლობაში აალებული ბურთებისა და მძიმე კატაპულტების წინაშე დგომა ნებისმიერი სახელმწიფოს უსაფრთხოების აპარატს ექსტრემალურ და ძალისმიერი საპასუხო ქმედებისაკენ უბიძგებდა. შესაძლოა, სასწაულადაც ჩაითვალოს, რომ სამი თვის განმავლობაში მიმდინარე ინტენსიურ ურბანულ ბრძოლაში მხოლოდ მცირე რაოდენობის მსხვერპლი დაფიქსირდა.

მაიდანის შესახებ უამრავი წიგნი და ფილმი შეიქმნა. შესაძ-ლოა, ამ ინტერპრეტაციებში ვილაცამ სინამდვილეც იპოვოს. საინ-ტერესო ასპექტს წარმოადგენს სნაიპერების გამოყენება 2014 წლის 20 თებერვალს, ხუთშაბათს, და მოვლენათა პრეცედენტული ჯაჭვი ინსტიტუტსკას ქუჩაზე. სპეკულაციები ვრცელდებოდა ხუთშაბათს ინსტიტუტსკას ქუჩაზე დაგეგმილი „სასაკლაოს“ მოწყობის შესახე-ბაც. თუმცა ეს შემთხვევა რალაცნაირად ყურადღების მიღმა დარჩა, როგორც წინა და მომდევნო დღეებში მომხდარი სხვა შემთხვევები, ახალი ინციდენტების ჯაჭვი კი კვლავაც გაგრძელდა.

ლუტერანსკას ქუჩაზე, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და მაიდანს შორის მცხოვრები, ყოველდღიურად ვუყურებდი, თუ როგორ არაპროფესიონალურად იმართებოდა როგორც პოლიცი-ის სპეციალური დანაყოფები, ისე მომიტინგეების უკომპრომისო დაჯგუფებები. პრობლემას წარმოადგენდა ტაქტიკის ყოვლის-მომცველი სიტუაციური სურათის არარსებობა, რომ აღარაფერი

ვთქვათ მოვლენათა რადიკალური, უკიდურესი სცენარით განვითარების გააზრებაზე. უწყებები ინფორმაციას ერთმანეთს არ უზიარებდნენ, არ უყრიდნენ თავს სტრატეგიულ დონეზე. ჯგუფების ქარიზმატული ლიდერების ახირებების გამო კი, ვითარება მალე უკონტროლო და ასობით ადამიანის დინების დამანგრეველი გახდა. მკვლელობა, ყველაფრის ლეწვა და განადგურება სიმხეცეში გადაიზარდა. მახსოვს ჩემი მეგობრის, მაიდანის ერთ-ერთი ლიდერის ნათქვამი, როდესაც მაიდანის ხმაურის შუაგულში შევხვდი: „ჩვენ ამას ველარ ვაკონტროლებთ. იმის გვეშინია, რაც ამას მოჰყვება“.

მაიდანის შემდეგ ევროკავშირის სადაზვერვო უწყების ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მათთვის უკრაინის კრიზისი სიურპრიზი იყო. შეიძლება მორიდებულად ვიკითხო – რატომ? ყველა, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა და მუშაობდა, დაპირისპირებისკენ მიმავალ მოვლენათა ამგვარ განვითარებას ხედავდა, თუმცა ცოტას თუ სჯეროდა მისი ასე სწრაფად განვითარებისა. პირადად მე, ამის უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც მჯეროდა და ეს 2012 წელს კიევში ნატო-უკრაინის სემინარზეც გამოვხატე.

ევროკავშირს არ ესმოდა, რომ რუსეთისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო უკრაინა პარტნიორად შეენარჩუნებინა, ვიდრე უკრაინის დასავლური სტრუქტურებისაკენ სწრაფვისათვის მიეცა გზა. ევროკავშირი აცნობიერებდა რუსეთის უარყოფით რეაქციას, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებდა რუსეთისათვის უკრაინის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ევროკავშირს უამრავი შესანიშნავი პრინციპი და ტექნიკა აქვს, მაგრამ მისი აპარატის სისუსტეა ძალის პოლიტიკის სათანადოდ აღქმა. აქ, რა თქმა უნდა, წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობა, გააცნობიერონ პრობლემები და იფიქრონ მათ მოგვარებაზე. შეეძლო ევროპას მეტი გაეკეთებინა უკრაინის მხარდასაჭერად ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, რათა ქვეყანა კორუფციის ბუდე და ოლიგარქების სათამაშო მოედანი არ გამხდარიყო? აშკარაა, რომ თუ უკრაინას ევროინტეგრაცია სურს, ის უნდა იყოს საკუთარ თავზე და არა რუსეთზე დამოკიდებული.

**რისი სწავლა შეიძლება?**

2019 წლის 21 ივნისს ჰონგ-კონგის რკინიგზის სადგურზე მომიტინგეებსა და მგზავრებზე თეთრ მაისურებში გამოწყობილი მამაკაცების გამძვინვარებული ჯგუფის თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 45 ადამიანი სერიოზულად დაშავდა. შუაღამეს, იუენ ლონ-

გის რკინიგზის სადგურზე ათობით ადამიანის შეჭრისას, მიმდე-ბარედ, არც ერთი პოლიციელი არ აღმოჩნდა. დაქირავებული კრიმ-ინალების გამოყენების იგივე გეგმა შეიმჩნეოდა კიევში, 2014 წლის იანვარ-თებერვალში და მოგვიანებით – კარაკასში, როდესაც სამ-თავრობო ძალებმა დემონსტრანტების დასაშლელად კრიმინალური ბანდები დაიქირავეს. ძალადობრივი რადიკალიზმი და ექსტრემიზმი ყოველთვის უკავშირდება ორგანიზებულ დანაშაულს. ეს სიმბიოზი არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გარე ჩარევის ადრეული გაფრთხილებს სიგნალი უნდა იყოს, თუმცა ხშირად უყურადღებოდ რჩება.

კრიზისული სიტუაციების მართვის ბოლო შემთხვევები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, კიევში, ჰონგ-კონგში, კატალო-ნიაში და, მაგალითად, კარაკასში, უნიკალური, მაგრამ საერთო მახასიათებლების მქონეა. კერძოდ, უდანაშაულო სამიზნე ჯგუფის მიმართ გამოჩენილი უკიდურესი ძალადობა, რომელიც უფრო დიდი დესტრუქციისა და ზიანის მისაღწევად მიმდინარე რეჟიმში ფუნ-დამენტალიზმში გადაიზრდება. ეს ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მხოლოდ რამდენიმე მაგალითია, სადაც ონლაინ ვებ-გვერდების მეშვეობით საკუთარი ტერორისტული ქმდებებისათვის მეტი მასშტაბისა და გავლენის მოსაპოვებლად ძალადობრივმა რადიკალიზმმა ფუნდამენტალისტური მხარდაჭერით ონლაინექს-ტრემიზმის მეთოდები გამოიყენა – ამით საკუთარი თავისგან ახალ ურჩხულს – *ონლაინექსტრემიზმს* ქმნის.

რა საბოლოო მიზანს ისახავს რადიკალიზებული ადამიანი ჩვენი საზოგადოებების წინააღმდეგ მიმართული ექსტრემისტული ქმედებისას? ტოტალურ განადგურებას თუ მუდმივი შიშის დან-ერგვას? ან, იქნებ, საზოგადოებათა სასიცოცხლო ფუნქციების დარღვევას, რომელიც კოლექტიური ზიანის გამრავლებით იქნება გამოწვეული?

როგორც  მახსოვს, ინტერნეტსამყარო სიკეთეს ემსახურე-ბოდა, როგორც პრევენციის, რეაგირებისა და შედეგების მართ-ვის ხელსაწყო ყველანაირი სახის საფრთხისა და კატასტროფის წინააღმდეგ. ტერორი, ექსტრემიზმი და ორგანიზებული დანაშაუ-ლისა და ფუნდამენტალიზმის სიმბიოზის ახალი ფორმები კი მისი მთავარი სამიზნე იყო. თუმცა, ბოლო დროს რაღაცები სიმახინ-ჯისაკენ შეიცვალა და ჩვენი ცხოვრება ამ ახალ ბოროტებაზე – ონლაინექსტრემიზმზე გადაერთო.

არის კი ამ სახის ონლაინექსტრემიზმიდან უკან დასაბრუნე-ბელი გზა? თავდასხმების წინააღმდეგ საბრძოლველად მოკლევა-

დიან პერიოდში მრავალი ინიციატივა და ალიანსი შეიქმნა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ხომ შეგვიძლია წარსულის გაკვეთილებიდანაც რაღაც ვისწავლოთ?

**მაიდანის ჟლეტა, ვენესუელის შეტაკებები და ჰონგ-კონგის დემონსტრაციები** ფართო საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად კიბერსივრცის ამგვარი გამოყენების პირველ შემთხვევებს არ წარმოადგენს და ხაზს უსვამს ექსტრემისტულ სისასტიკეთა ახალ ტენდენციას. ეს თავდასხმები იმისთვის მოეწყო, რომ გავლენისა და შედეგების მაქსიმიზაციის მიზნით ინტერნეტით პირდაპირ ეთერში გადაცემულიყო.

## ნაკლები დაპირებები – უსასრულო გაფართოებაზე, მეტი აქცენტი – სამეზობლოში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე

ევროკავშირის შიდა უსაფრთხოების თანამშრომლობას არსებითი და წამყვანი როლი აქვს წევრი სახელმწიფოების სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმებში. ყველაზე მეტად ახლა დგას ტაქტიკურ-ოპერაციული ინტერფეისების საჭიროება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ონლაინრადიკალიზაციისა და კიბერექსტრემიზმის ცვალებადი ტალღები. ეროვნული სამოქალაქო უსაფრთხოების საშუალებების გასაუმჯობესებლად უკვე მიმდინარეობს ადმინისტრაციული, იურიდიული და ოპერაციული რეფორმები, თუმცა მას ხშირად აფერხებს ფუნქციონალური თავსებადობის ხარჯზე მიმდინარე სუვერენულობის (ან ინდივიდუალური კონფიდენციალურობის) შენარჩუნების ტენდენცია. ევროპის ადრეული გაფრთხილების, პრევენციისა და ინტერვენციის მექანიზმები საჭიროა იქ, სადაც არსებობს ევროპული ინტერესები ან ევროპული ფასეულობები საფრთხის წინაშე დგას.

ახალი ტიპის საგანგებო სიტუაციების უმეტესი ნაწილი, რომლებიც სამოქალაქო დაპირისპირებისა და შემდგომში დემონსტრანტებსა და სამართალდამცავებს შორის სრულმასშტაბიანი შეტაკების სახეს იძენს, განსხვავებულია ტრადიციული სამოქალაქო უსაფრთხოების პრობლემებისგან. ამ შემთხვევაში, პირველი სიგნალების მოსვლისას, პრევენციული ქმედებების საჭიროების ნაცვლად, რეაგირების ეტაპი დგება. მათ ასევე ისეთი ფართო გავლენა და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, რომ ევროკავშირის უმაღლეს დონეზე პოლიტიკის დროულ კოორდინაციას და რეაგირებას მოითხოვს. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს რიგი დაზარალებული წევრი სახელმწიფოების ან ინტერსექტორული კრიზისის

ხასიათით ან ამ ფაქტორების კომბინაციით. ევროკავშირის პოლიტიკისა და რეაგირების კოორდინაციის საჭიროებამ 2006 წელს „ევროკავშირის საგანგებო და კრიზისული კოორდინაციის ღონისძიებების“ შექმნას დაუდო დასაბამი, რაც ამჟამად განხორციელების პროცესშია. ევროკავშირის „ინტეგრირებულ პოლიტიკურ კრიზისზე რეაგირების“ (IPCR) შეთანხმებამ ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი საგანგებო სიტუაციების დროს ევროკავშირის სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, რაც ევროკავშირის პოლიტიკურ დონეზე რეაგირებას მოითხოვს. გარდა ამისა, ევროკომისიისა და საგარეო მოქმედებათა ევროპული სამსახურის (EEAS) მიერ შემუშავებული „ინტეგრირებული სიტუაციური ცნობიერების ამაღლება და ანალიზი“ (ISAA) შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს კრიზისულ სიტუაციებში პოლიტიკური კოორდინაციის უზრუნველყოფისა და საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისათვის პოლიტიკის ვარიანტების მოსამზადებელი საჭირო პროცედურა.

მთავრობათაშორის ურთიერთობებში ონლაინრადიკალიზმის შემცირების მრავალი ძალისხმევა თანამშრომლობის საფუძველს ქმნის, მაგრამ გადატვირთულია ურთიერთგადამფარავი შეთანხმებებითა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის ორგანოებით. რეაგირების სტრატეგიის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია კრიზისების მთელი სპექტრისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ზომების გათვალისწინება. არსებობს ზოგადი, ფუნქციური და რეგიონული ასპექტები, რომლებიც კვლევის საგნად უნდა იქცეს და განიხილებოდეს.

ასევე დგას წინასწარ სტანდარტიზებული და მულტიუწყებრივი მიდგომის შემუშავების საჭიროება, რომელიც  ჩართავს წინა ხაზის ყველა რელევანტურ აქტორს (როგორებიცაა: ადგილობრივი თანამდებობის პირები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სოციალური და ახალგაზრდული მუშაკები, სამართალდამცავები და საზოგადოებრივი პოლიციის ოფიცრები), რათა გაუმჯობესდეს ევროპული საზოგადოებების წინააღმდეგ ადამიანის მიერ შექმნილი ამ ახალი და კომპლექსური საფრთხეების გამოვლენისა და მათ მიმართ მზადყოფნის ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა. ხშირად ეს აქტორები პირველები არიან ვინც წინააღმდეგობას სწევს და ხელმძღვანელობს მყისიერ მოქმედებებს შემთხვევის ადგილზე. სწორედ ამიტომ უნდა იყვნენ ისინი კარგად მომზადებული და სრულფასოვნად აღჭურვილი, რათა დაუპირისპირდნენ ახალი კომპლექსური გამოწვევების ფართო სპექტრს, რადიკალური

ძალადობის კონვერგენციისა და ორგანიზებული დანაშაულისა და ექსტრემიზმის სიმბიოზის ჩათვლით.

ახლა საჭიროა სამმიმართულებიანი მთავრობათაშორისი და საჯარო-კერძო სამოქმედო გეგმა, რათა (1) გამოიცეს საბოლოო სახელმძღვანელო, სადაც დეტალურად იქნება ასახული მსოფლიოს ტურბულენტურ ადგილებში ონლაინექსტრემიზმის შეკავების ასპექტები; (2) დადგინდეს კიბერექსტრემიზმის ამ ახალი სახეების გააზრებაში რამდენად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ყველა წევრ სახელმწიფოში სემინარების ჩატარებას, რომელსაც ერთად დაესწრებიან მეცნიერები და მთავრობის წარმომადგენლები; (3) შემოწმდეს და შეფასდეს პირველ მორეაგირეებთან სამაგიდო და პრაქტიკული სავარჯიშოების მნიშვნელობა და (4) ამის შემდეგ გავრცელდეს მიგნებები მსოფლიოში არსებულ ყველა ინტერნეტოპერატორში.

საჭიროა გაკეთდეს ევროპული კვლევა და მეპინგი, შეიქმნას ობიექტური ტესტები (სამაგიდო და პრაქტიკული სავარჯიშოების სახით) და გაძლიერდეს (წინასწარ სტანდარტიზებული საბოლოო გაიდლაინები და ოფიციალური ანგარიში) პირველი მორეაგირეების საზოგადოებრივი და ადამიანური შესაძლებლობები, რათა ჩანასახშივე ეფექტიანად დაუპირისპირდნენ კიბერექსტრემიზმსა და ონლაინრადიკალიზაციას. ამგვარად, ეს პროექტი პირველი რიგის ადმინისტრაციული შეზღუდვებისა და ოპერაციული დაბრკოლებების უფრო ეფექტური რეაგირებისკენ გადაადგილებას გამოიწვევს, რაც განავითარებს პირველი მორეაგირეების (მოქალაქეების ჩათვლით) მედეგობას და გააძლიერებს მათ საერთო (უწყებათაშორის და ინტერსექტორულ) სიტუაციურ ცოდნას ონლაინ და ვებიდან მომდინარე რადიკალიზაციის შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს რადიკალიზებული ჯგუფებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ უფრო სწრაფი და ეფექტური რეაგირება. ეს პირველ მორეაგირეებს აქცევს პირველი რიგის მორეაგირეებად. საბოლოოდ კი, პროცესი შექმნის პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გარკვეულ ბაზას, რომელიც შეიძლება გამოდგეს მტრულ და სისტემურ ინფორმაციულ კამპანიასთან გასამკლავებლად ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიების განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ორგანიზებული დანაშაულის მიერ მთავრობის სტრუქტურისა და სისტემის წინააღმდეგ ძალადობრივი რადიკალიზმის, ექსტრემიზმისა და ეთნიკური უმცირესობების იარაღად გამოყენებასა და მანიპულაციაზე.

საჭიროა ნაკლები დანაპირები გავცეთ ევროკავშირის დაუსრულებელი გაფართოების შესახებ და მეტი ყურადღება გავამახვილოთ ახლო სამეზობლოს უსაფრთხოებაზე, სტაბილურობასა და გაძლიერებაზე. ეს არის პირველი ნაბიჯი ძალადობრივი რადიკალიზმის შეჩერებისა და მშვიდობიანი რევოლუციების ხელშესაწყობად, რასაც, იმედია, გამჭვირვალე ევოლუციის სახე ექნება. ამ ახალი ფორმების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების გზა არის როგორც სტრატეგიული და პოლიტიკური, ისე ტაქტიკურ-ოპერაციული, გრძელვადიანი და მოკლევადიანი, ჰოლისტიკური (ყველა ტიპის საფრთხის გამაერთიანებელი) და სექტორზე ორიენტირებული.